ო ქ მ ი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი.

2021 წლის 27 მაისი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია
2.ნიკოლოზ ვეკუა
3.იგორ გოგოლაძე
4.გოჩა ჯობავა
5.გენადი ქაძანაია
6.აკაკი ხურცილავა
7.რამინ ხილაძე
8.გოჩა სიჭინავა
9.შადიმან ჭილაია
10.კონსტანტინე ნასარაია
11.მერაბ ნადარაია
12.კახა ლატარია
13.დავით ცინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 25 მაისის N 50 – 502114511 წერილის განხილვა:

= „ხობი მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

= ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 25 მაისის N 50 – 502114511 წერილის განხილვა;

= „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

მოისმინეს: მომხსენებელმა - ვ. ქანთარიამ კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021წლის 25 მაისის N 50 – 5021114511 წერილი, „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"

ხობის მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება მოძრავი ქონება (ავტომანქანა გაზ - 52 04, ბორბლიანი ტრაქტორი PA 814, ტრაქტორის მისაბმელი; მანქანა სპეციალიზებული Ginaf 212 ON, ავტომანქანა ჰეტჩბეკი ASTRA; ბის ადმინისტრაციულ ერთეულში ძველი ხიდის ნარჩენი ლითონი, მოტოროლერი ბორტიანი KEVESEKI 2 ცალი, ფილები (მეორადი 50 კვ.მ) რომლებიც ამორტიზირებულია და ექსპლუატაციისთვის უვარგისია, რაზედაც არსებობს აუდიტორული დასკვნები. მერიის განმარტებით მათი რეაბილიტაცია აღდგენა დაკავშირებულია დიდ საბიუჯეტო ხარჯებთან, რის გამოც მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მათი პრივატიზება ჯართის სახით, აუქციონის წესით.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ნორმებთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს.

კომისიის წევრების მხრიდა საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13, წინააღმდეგი არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, თორსა დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, სახოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 56564 კვ.მ (ს/კ 45.06.23.253), არის დაუტვირთავი. მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მიწა გაიცეს იჯარით აუქციონის წესით, 15 წლის ვადით, საწყის საიჯარო ქირის წლიურ საფასურად 2715 ლარად.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის' ნორმებთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: / ვლადიმერ ქანთარია/